

საქართველოსა და წამყვანი ქვეყნების საბანკო სისტემის თანამედროვე მოდელები

Modern models of banking system of Georgia and leading countries

ნიკოლოზ დარჩიაშვილი – დოქტორანტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ალეკო ქუთათელაძე – ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Nikoloz Darchiashvili, PhD student

Georgian Technical University

Aleko Kutateladze – PhD, Professor

Georgian Technical University

რეზიუმე: ბანკები თანამედროვე ეკონომიკისა და საზოგადოების ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. დღესდღეობით მსოფლიოში ჩამოყალიბებულია საბანკო სისტემის ორი ძირითადი ტიპი (მოდელი): ამერიკული და ევროპული. თითოეულ მოდელს გააჩნია თავისებური კავშირი ქვეყნის ფინანსურ განვითარებასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავება ევროპულ და ამერიკულ ბანკებს შორის ეტაპობრივად მცირდება, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის მზარდ საერთაშორისო თანამშრომლობას.

ისევე როგორც ევროპულ საბანკო მოდელში, საქართველოშიც გვაქვს რამოდენიმე ძლიერი ბანკი, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. ბანკების რაოდენობის კლების პარალელურად იზრდება ბანკების ფილიალებისა და სერვისცენტრების რაოდენობა.

Abstract: Banks are a part of modern economics and society. Today is the world's two main types of banking system (model): American and European. Each model has a peculiar connection with the country's financial development.

It should be noted that the difference between European and American banks is gradually decreasing, which contributes to the growing international cooperation.

Just like in the European banking model, Georgia has some strong bank that plays a major role in the development of the country's economy. The number of bank branches and service centers increases in parallel with the number of banks.

საკვანძო სიტყვები: ბანკი, ეკონომიკა, საბანკო სისტემა, ევროპული საბანკო მოდელი, ამერიკული საბანკო მოდელი

Key Words: Bank, Economy, Banking system, European banking model, American banking model

შესავალი: ბანკები თანამედროვე ეკონომიკისა და საზოგადოების ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ცნობილია, რომ საბანკო სისტემა საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ ურთულეს და აუცილებელ სფეროს წარმოადგენს, რომელიც გარდამავალ ეტაპზე განვითარების თავისებურებით ხასიათდება და მთელი ეკონომიკური სისტემის ქმედითუნარიანობას განსაზღვრავს. საბანკო სისტემის ჩამოყალიბების ევოლუციურმა პროცესმა ბუნებრივია გამოიწვია ერთმანეთისგან განსხვავებული სახეობის ბანკის წარმოშობა და შეიძლება ითქვას, ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება. ბანკების კლასიფიკაციისას არ უნდა დაგვავიწყდეს ნაციონალური ხასიათი, სადაც ერთი და იმავე ტიპის ბანკები სხვადასხვა ქვეყანაში შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან.

ძირითადი ტექსტი: დღესდღეობით მსოფლიოში ჩამოყალიბებულია საბანკო სისტემის ორი ძირითადი ტიპი (მოდელი): ამერიკული და ევროპული. თითოეულ მოდელს ქვეყნის ფინანსურ განვითარებასთან გააჩნია თავისებური კავშირი.

ამერიკული მოდელი ასახავს ნაციონალური ფინანსური ბაზრის განვითარების თავისებურებებს. ამერიკულ ეკონომიკაში კორპორაციები ძირითადად ეყრდნობიან შიდა დაფინანსების წყაროებს, ამიტომ მათი ურთიერთობა ბანკებთან უფრო სუსტია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. აშშ-ის ეკონომიკა უფრო ორიენტირებულია

საფონდო ბაზარზე, რაც იმაშიც გამოიხატება, რომ ეკონომიკის კორპორატიული სექტორის ობლიგაციების გაყიდვით მიღებული ნასესხები სახსრების წილი, მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდები და აქციები, შეადგენს დაფინანსების 50-75%-ს, ხოლო მხოლოდ დანარჩენი წილი მოდის საბანკო კრედიტებზე.

ასეთი მიდგომა ავიწროებს საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობას და ზღუდავს დიდი საბანკო დაწესებულებების ფორმირების შესაძლებლობას. შედეგად, ამერიკულ ბაზარზე ძირითადად გვხვდება მცირე და საშუალო ზომის ბანკები. ბევრი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ფინანსური სისტემა დაფუძნებული ძლიერ საფონდო ბაზარზე, უფრო მოქნილია და უფრო შეეფერება მაღალი რისკის მქონე პროექტებს. ასეთი მოდელის შემთხვევაში ბანკები არაფინანსურ კორპორაციებზე ვერ ახდენენ ზეგავლენას, შედეგად ფინანსირების საკითხში არ ხდება საბანკო მონოპოლია. თუკი ბანკი უარს ამბობს კონკრეტული პროექტის დაფინანსებაზე, მისი განხორციელება შესაძლებელია აქციების ან ობლიგაციების გაცემის საშუალებით.

ამერიკული მოდელის მთავარი უპირატესობაა დიდი კონკურენცია საბანკო სისტემაში. ამას გარდა, ამერიკული მოდელი არის „ღია ბაზრის“ მოდელი, რაც განაპირობებს ბანკისა და კლიენტის თავისუფალ ურთიერთობას, განსაკუთრებით კი სამრეწველო კომპანიებთან.

გარკვეულწილად ამას განაპირობებს ბანკების საქმიანობის შეზღუდვა კორპორატიული ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. შესაბამისად, ბანკსა და კლიენტს შორის საბაზრო ურთიერთობა ყალიბდება ორმხრივი სარგებლის საფუძველზე.

მთლიანობაში, ამერიკის საბანკო სისტემა საკმაოდ რთულია. ეკონომიკაში ფუნქციონირებენ, როგორც ნაციონალური საკრედიტო ინსტიტუტები, ასევე სახელმწიფო ბანკები. ამას გარდა საბანკო

ორგანიზაციები იყოფა ფედერალური სარეზერვო სისტემის წევრ ბანკებად და ბანკებად, რომლებიც არ არიან ფედერალური სარეზერვო სისტემის წევრები.

ევროპული საბანკო მოდელი მნიშვნელოვნად განსხვავდება აშშ-ის საბანკო მოდელისაგან. პირველ რიგში, კონტინენტური ევროპის ქვეყნებში ვრცელდება ბიზნესის დაფინანსების სხვა პრინციპები.

კონტინენტური ევროპის ქვეყნებისთვის უფრო დამახასიათებელია რამდენიმე ძირითადი აქციონერის სააქციო კაპიტალის მაღალი კონცენტრაცია(აშშ-ში, კანადასა და დიდ ბრიტანეთში აქციები დანაწევრებულია). ხშირად, არასაფინანსო კორპორაციის მთავარ აქციონერად ბანკები გვევლინება. რაც გულისხმობს მის მონაწილეობას ორგანიზაციის ფულადი ნაკადების წარმოებაში. შედეგად კონტინენტური ევროპის ქვეყნებში საბანკო კრედიტების წილი მთლიანი მოზიდული რესურსებიდან შეადგენს 70 % -ს (დარჩენილი წილი მოდის ფასიან ქაღალდებზე). ბანკსა და კორპორატიულ სექტორს შორის მჭიდრო კავშირი ღრმად ინტეგრირებული, ეროვნული და მსოფლიო ობშორული სეგმენტის მაკონტროლირებელი, საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების შექმნის საშუალებას იძლევა. შეიძლება ითქვას, რომ ევროპული საბანკო სისტემა დაფუძნებულია ეროვნული ეკონომიკის მთლიანი ფინანსური სექტორის ხერხემლის შემქმნელ სამ უმსხვილეს ბანკზე.

შესაბამისად, ევროპული საბანკო მოდელი ხასიათდება მცირე რაოდენობის მსხვილი ბანკების არსებობით, რომელთაც გააჩნიათ ვრცელი ფილიალების ქსელი და შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ არაფინანსური კომპანიების საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე.

ამ მოდელის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა არის საკრედიტო ინსტიტუტების სტაბილურობა. ბანკის სტაბილურობა,

ძირითადად გამომდინარეობს იქედან, თუ რამდენად დიდი რისკის დაფარვა შეუძლია მას საკუთარი კაპიტალით. კონტინენტური ევროპის ბანკებს მნიშვნელოვნად დიდი რესურსების გათვალისწინებით საკმაოდ დიდი რისკის აღება შეუძლიათ საკუთარ თავზე. ასევე შეუძლიათ მეტად გააფართოონ საკრედიტო პორტფელი. დანაკარგების გაჩენის შემთხვევაში ბანკი მას ფარავს საკუთარი რესურსებით ისე, რომ არ დააზარალოს მეანაზრეები. ევროპული მოდელის კიდევ ერთი უპირატესობა არის ის, რომ ძირითადად წარმოდგენილია უნივერსალური საბანკო სისტემა, რომელიც კლიენტებს სთავაზობს მომსახურების ფართო სპექტრს, მათ შორის ფასიანი ქაღალდების წარმოებასთან დაკავშირებულ ოპერაციებშიც. უნივერსალური ბანკების კლიენტებს აქვთ შესაძლებლობა ერთი საკრედიტო ინსტიტუტის საშუალებით განახორციელონ ბევრი ფინანსური ოპერაცია. ასევე უნივერსალურ ბანკებს სხვადასხვა ფინანსურ საკითხებში შეუძლიათ კვალიფიციური კონსულტაციები გაუწიონ თავის კლიენტებს, რაც თავის მხრივ ზრდის თანამშრომლობის ხარისხს ბანკსა და კლიენტს შორის. ამ მოდელის მიწისი მდგომარეობს მასში, რომ იგი ბევრად უფრო კონსერვატიულია ამერიკულ მოდელთან შედარებით. ასევე, ნაკლებად კონკურენტუნარიანი ბაზრის გათვალისწინებით ევროპული მოდელის შემთხვევაში საკომისიო მომსახურების საფასური არის უფრო მაღალი.

ევროპული საბანკო მოდელის ამგვარი განვითარების მიზეზი გახდა ევროპული ბანკების უპირობო უპირატესობა მსოფლიოს უმსხვილესი საკრედიტო ინსტიტუტების სეგმენტში.

სტატისტიკური მონაცემებით, 1997-1998 წლებში ყოველწლიურად ხდებოდა ბანკების გაერთიანების 100 –მდე შემთხვევა. ერთიანდებოდნენ არა მხოლოდ ერთ სეგმენტზე მომუშავე ბანკები, არამედ ისეთებიც, რომლებიც ასრულებდნენ განსხვავებული

სეგმენტის მომსახურებას, ასევე ერთიანდებოდნენ სხვადასხვა ქვეყნების ბანკებიც.

უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავება ევროპულ და ამერიკულ ბანკებს შორის ეტაპობრივად მცირდება, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის მზარდ საერთაშორისო თანამშრომლობას.

მსხვილ ევროპულ კომპანიებს აქვთ შესაძლებლობა მოახდინონ ფინანსირების წყაროების დივერსიფიცირება საერთაშორისო მასშტაბების გაერთიანებით. მაგალითად , რიგ ქვეყნებში მიიღონ საბანკო კრედიტები, ხოლო რიგ ქვეყნებში აწარმოონ ოპერაციები ფინანსურ ბაზრებზე. ამას გარდა, ამ შემთხვევაში კომპანიის მენეჯმენტს შეუძლია არ დაუშვას მათზე კონტროლის შესუსტება ინსტიტუტების სახსრების უზრუნველყოფის მიზნით.

დღესდღეობით, საქართველოს საფინანსო ბაზარი მსოფლიო ფინანსური ბაზრის შესაბამისად ვითარდება და ჩნდება ახალი ფინანსური ინსტიტუტები. აქედან გამომდინარე იცვლება საბანკო წესებიც. საქართველოს საბანკო სისტემის ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს საბანკო სისტემის მოდელი თავისი არსით და რაობით უფრო ახლოს არის ევროპულ მოდელთან, ვიდრე ამერიკულთან.

დამოუკიდებელი საქართველოს საბანკო სისტემის ორ ათეულზე მეტი წლის რეფორმირებისა და ინსტიტუციონალური განვითარების შედეგად ჩამოყალიბდა ქვეყანაში ყველაზე წარმატებული სექტორი, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ისევე როგორც ევროპულ საბანკო მოდელში, საქართველოშიც გვაქვს რამოდენიმე ძლიერი ბანკი, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. ბანკების რაოდენობის კლების

პარალელურად იზრდება ბანკების ფილიალებისა და სერვისცენტრების რაოდენობა.

დასკვნები: საქართველოს ეროვნულ ბანკს წლების მიხედვით აქვს გამოქვეყნებული ინფორმაცია საქართველოში მოქმედი ბანკების რაოდენობის შესახებ. 1995 წელს 102 ბანკი იყო. შემდეგ მათი რიცხვი სწრაფად მცირდებოდა და მინიმუმს, 17 ბანკს, 2006 წელს მიაღწია. ამის შემდეგ ბანკების რაოდენობა უმნიშვნელოდ იკლებდა ან მატულობდა და დღეის მდგომარეობით საქართველოში 18 კომერციული ბანკია. თუმცა უკვე დადასტურებულია, რომ წლის ბოლომდე “ბანკი რესპუბლიკა” ცალკე ფუნქციონირებას შეწყვეტს და სრულად თიბისი ბანკის საკუთრება გახდება. გამოდის, რომ, თუ ახალი ბანკი არ დაემატა ბაზარს, 2017 წლიდან საქართველოში 17 კომერციული ბანკი იქნება.

2018 წლის პირველი აპრილის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორი 16 კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი; მათ შორის 15 – საწესდებო კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით. მარტში, წინა თვესთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები (მიმდინარე ფასებში) 710.8 მილიონი ლარით, ანუ 2.1 პროცენტით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე ზრდამ 3.6 პროცენტი შეადგინა) და 2018 წლის პირველი აპრილისათვის 34.3 მლრდ ლარი შეადგინა. საბანკო სექტორის საკუთარი სახსრები 4.6 მლრდ ლარს შეადგენს, რაც კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების 13.4 პროცენტია. ქართული საბანკო სექტორის განვითარების შესაფასებლად ერთ-ერთი ყველაზე კარგი ინდიკატორია საბანკო აქტივების ცვლილების ტენდენცია. საბანკო აქტივებზე ინფორმაცია 2004 წლიდან მოვიპოვეთ. ამ მხრივ ბოლო 12 წელიწადში ძალიან დიდი პროგრესია მიღწეული, რაც გარკვეულწილად იმანაც განაპირობა, რომ 2004 წელს ბანკების ჯამური აქტივები 1,7 მილიარდი ლარი იყო. 2016 წლის

ივლისის მონაცემებით 26.7 მილიარდი ლარია, ანუ გაზრდილია 15,7-ჯერ. აქტივების ზრდასთან ერთად გაიზარდა ბანკების სააქციო კაპიტალიც. ეს ნიშნავს, რომ ბანკების რაოდენობის კლების მიუხედავად საქართველოს საბანკო სექტორი იზრდება.

თუმცა, ამას აქვს უარყოფითი მხარეებიც, ვინაიდან ჩვენს ბანკებს ხშირ შემთხვევაში არ გააჩნიათ საკმარისი კაპიტალი და კრიზისის შემთხვევაში დგება დანაკარგების საფრთხე, რამაც შეიძლება დააზარალოს მეანაზრეები, თავად ბანკები და ქვეყნის ეკონომიკაც. ამ ყველაფრის თავიდან ასაცილებლად საჭიროა შემუშავებულ იქნას გარკვეული რეგულაციები, მაგალითისთვის, რისკების სამსახურის მიერ განსაღვრული უნდა იქნას თუ რა დანაკარგის დაფარვა შეუძლია ბანკს საკუთარი სახსრებით და ამის შესაბამისად უნდა გაზარდოს პორთფელის რაოდენობაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. კოზმავა, გ. კონტრიძე, თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, თბ. 2014;
2. Richard J. Parsons, Broke: America's Banking System, Common Sense Ideas to Fix Banking, 2013;
3. http://studopedia.ru/3_161829_tipi-bankovskih-sistem.html გადამოწმებულ იქნა: 28.04.2018
4. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2> გადამოწმებულ იქნა: 28.04.2018
5. <http://forbes.ge/news/1674/rogor-viTardeba-qarTuli-sabanko-sistema> გადამოწმებულ იქნა: 28.04.2018